



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 2

„ 17 „ ივნისი 20 21 წ.

# წ ა რ ლ ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, ამავე მუხლის ამავე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს შემდეგი კანდიდატები:

- ა) გიორგი გოგიაშვილი (12 ხმა);
- ბ) გოჩა აბუსერიძე (12 ხმა);
- გ) ლევან თევზაძე (11 ხმა);
- დ) ქეთევან მესხიშვილი (11 ხმა);
- ე) გიორგი შავლიაშვილი (12 ხმა);
- ვ) რევაზ ნადარაია (11 ხმა);
- ზ) ბიძინა სტურუა (12 ხმა);
- თ) ეკა ზარნაძე (12 ხმა);
- ი) ლაშა ქოჩიაშვილი (12 ხმა).

2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>3</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს წარდგინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ წარდგინების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი  
საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი



## კანდიდატის შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაცია

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით აღნიშნული პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ლევან თევზაძე.

2020 წლის 18 დეკემბერს შედგა ლევან თევზაძის საჯარო მოსმენა.

კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ლევან თევზაძე შეფასდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრის მიერ. კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატის მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმით გათვალისწინებული შეფასებები მათ დასაბუთებებთან ერთად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ვინაობის მითითებით, გასაჯაროების მიზნით 2021 წლის 31 მაისს განთავსდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

კანდიდატმა კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დააგროვა **1134 ქულა**, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თორმეტმა წევრმა მიიჩნია, რომ ლევან თევზაძე სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე კანდიდატების გადასვლის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულებით ლევან თევზაძე გადავიდა საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე. კანდიდატმა კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით დაიკავა მესამე ადგილი.

2021 წლის 17 ივნისს გამართულ საბჭოს ღია სხდომაზე კენჭი ეყარა ლევან თევზაძის კანდიდატურას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით. აღნიშნული კენჭისყრის დროს კანდიდატმა ლევან თევზაძემ მოიპოვა საბჭოს 11 წევრის (ნ.ქადაგიძე; ნ.მარსაგიშვილი; ვ.მშვენიერაძე; ქ.ცინცაძე; თ.ონიანი; დ.გვრიტიშვილი; თ.ლეონიძე; ი.ბონდარენკო; ლ.გზირიშვილი; ზ.ხარებავა; თ.ღვამიჩავა) მხარდაჭერა; წინააღმდეგი - ერთი წევრი (ი.გელაშვილი).

ს ა ე რ თ ო ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ლევან თევზაძე

<p>ასაკი: 41 წლის  დაბადების თარიღი: 28 მაისი, 1979 წ.  განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ)  სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 19 წელი  სამუშაო ადგილი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე/თავმჯდომარე</p>	
<p><b>განაცხადის შევსებისას წარმოდგენილი დოკუმენტაცია</b></p>	
<p><a href="#">განაცხადი</a></p>	✓
<p><a href="#">ავტობიოგრაფია/რეზიუმე</a></p>	✓
<p><a href="#">დიპლომი</a></p>	✓
<p><a href="#">შრომის წიგნაკის ამონაწერი/ნამსახურობის ნუსხა</a></p>	✓
<p><a href="#">ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ</a></p>	✓
<p><a href="#">ცნობა ნასამართლობის შესახებ</a></p>	✓
<p><a href="#">დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ</a></p>	✓

მოძიებული ინფორმაცია

<p><b>რეკომენდაციები და კითხვარები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <a href="#">რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა</a> (სამი რეკომენდატორი)</li> <li>• <a href="#">კითხვარის სტანდარტული ფორმა</a> (სამი რესპოდენტი)</li> </ul>
<p><b>შეჯამება:</b>  <b>რეკომენდაცია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის - პროფესიონალიზმს, გულისხმიერებას, წესიერებას, კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, კარგ მენეჯერულ თვისებებს, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, საქმისადმი ერთგულებას, ერუდიციას, სამართლიანობას, შრომისმოყვარეობას, თავაზიანობას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევას და იმიჯს, მაღალ საქმიან და მორალურ რეპუტაციას, ანალიტიკურ აზროვნებას და სხვა. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.</li> </ul> <p><b>კითხვარები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; ერთი რესპოდენტი მიიჩნევს რომ ლ. თევზაძის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს</li> </ul>

კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

**ინფორმაცია კანდიდატის აქტივობის შესახებ**

- კანდიდატის განაცხადში არსებული ინფორმაცია (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)  
✓ [სერთიფიკატები](#)

**შეჯამება:**

ლევან თევზაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- მოსამართლის პროფესიული უნარები - სემინარი.
- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება - ტრენინგი.
- ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია - სემინარი.
- დისტანციური სწავლების საშუალებების გამოყენება - სემინარი.
- მტკიცებულებათა ცნება, შეფასება, დაშვება, გამოკვლევა, გამოქვეყნება და დემონსტრირება
- სამართლებრივი ენა სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომლობაში, (რუმინეთი, ბუქარესტი).
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა - სასწავლო კურსი (აშშ. ატლანტა).
- ბრემენის უმაღლესი რეგიონალური სასამართლო - სასწავლო კურსი (გერმანია, ბრემენი).
- სასამართლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება - სასწავლო კურსი (გერმანია, დორტმუნდი)
- ფსიქიატრიულ ჯანდაცვა - სემინარი
- სასამართლო დარბაზში კომუნიკაცია და მიკროძოგება - სემინარი და სხვა.

**პედაგოგიური საქმიანობა:**

- კანდიდატი იყო თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიწვეული ლექტორი „სამოსამართლო სამართლის“ დისციპლინაში.
- კითხულობს სემინარებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. არის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.
- ლ. თევზაძე არის ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე.

**ინფორმაცია ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ**

- საქართველოს [იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან](#) და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაცია.  
✓ <https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/30107/davit-otkhmezuris-mkvlelobis-saqmeze-saapelatsioshi-bolo-skhdoma-mimdinareobs>  
✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/427301-advokatebi-imesds-vitovebt-uzenaesi-sasamartlo-male-gaaukmebs-saapelacio-sasamartlos-ganchinebas-da-temur-basilias-mimart-gamotanili-ukanono-ganacheni-gadaixedeba>  
✓ <https://netgazeti.ge/law/33354/>  
✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/564222-ana-dolize-davit-otxmezuris-mkvlelobis-braldebit-gasamartlebuli-piris-shecqalebashi-sasamartlo-sistemis-mxridan-saechvo-nishnebi-ikveteba>  
✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/564321-saapelacio-sasamartlos-mosamartle-otxmezuris-sakmeze-msjavrdebulze-darcmunebuli-viqavi-rodesac-gadacqvetelebas-xels-vacerdi/>  
✓ <https://batumelebi.netgazeti.ge/news/7266/>  
✓ <https://marshalpress.ge/archives/8011>  
✓ [http://www.newpress.ge/news\\_id/739](http://www.newpress.ge/news_id/739)  
✓ <https://ghn.ge/news/139956>  
✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/368477-iusticiis-umaglesi-sabchos-cevrebi-levan-tevzaze-da->

- [vaxtang-mchedlishvili-ertmanets-sitqvierad-daupirisirdnen](#)
- ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/476746-iusticiis-umaglesi-sabchos-cevri-parlaments-mivmartavt-etikis-normebi-sabchos-aramosamartle-cevrebzec-gavrceldes>
  - ✓ <http://kvira.ge/234046>
  - ✓ <https://www.newposts.ge/?newsid=131508>
  - ✓ <https://metronome.ge/story/30444>
  - ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/364343-levan-tevzaze-varaudobs-rom-levan-murusizis-cinaagmdeg-dacqebuli-saprotesto-gamosvlebi-martuli-politikuri-procesia>
  - ✓ <https://www.rustavi2.ge/ka/news/37938>
  - ✓ <https://netgazeti.ge/news/87222/>
  - ✓ <https://www.rustavi2.ge/ka/news/97563>
  - ✓ <https://ipress.ge/new/levan-thevzadze-iustitsiis/>
  - ✓ <https://www.radiotavisupleba.ge/a/sasamartloebis-tavmjdomareta-danishvna/29063433.html>
  - ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/557533-iusticiis-sabchoshi-mosamartleobis-kandidat-levan-tevzazestan-gasaubrebis-procesi-kamatit-daicqo>
  - ✓ <https://www.tabula.ge/ge/story/152922-kandidati-romelic-sabchos-tsevis-colis-dzmaa-interesta-konfliqtze-kritikas-devnas>
  - ✓ <https://www.tabula.ge/ge/story/152946-damitseretda-xval-eleqtronulad-gipasuxebt-levan-tevzadzis-gasaubreba-iusticiis>
  - ✓ <https://www.tabula.ge/ge/story/152928-tevzadze-murusidze-namdvilad-aris-lideri-magram-chemtvis-lideri-konstitucia-da>
  - ✓ <https://netgazeti.ge/news/370322/>
  - ✓ <https://Itv.ge/news/ana-dolidzem-mosamartleobis-kandidatebtan-gasaubrebaze-chustebi-miitana/>
  - ✓ <https://www.interpressnews.ge/ka/article/557585-levan-tevzaze-uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-20-kacian-siashi-moxvedris-molodini-rom-ar-mkondes-ak-ar-viknebodi/>
  - ✓ <https://formulanews.ge/promediatest/News/%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98,%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/15850>
  - ✓ <https://formulanews.ge/promediatest/News/%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%94%E1%83%95%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98/15794>
  - ✓ <https://Itv.ge/news/parlaments-uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-kandidatad-vasil-roinishvilis-kandidatura-wardgineba/>
  - ✓ <https://netgazeti.ge/news/389851/>
  - ✓ <https://netgazeti.ge/news/389955/>
  - ✓ <https://www.tabula.ge/ge/story/155032-janezashvili-shengelia-dasajes-imit-rom-misi-colis-dzma-levan-tevzadze-konkurss>
  - ✓ <https://netgazeti.ge/news/468414/>
  - ✓ <https://www.tabula.ge/ge/story/130169-tevzadze-saapelacio-sasamartlos-sisxlis-samartlis-palatis-tavmjdomared-airchies>

✓ <https://ipress.ge/new/iustitsiis-umaghlesi-sabtch-2/>

**შეჯამება:**

ლევან თევზაძის თაობაზე მედიაში არსებული ინფორმაცია:

- ლევან თევზაძის მიერ განხილული საქმეებიდან მედია საშუალებები ოთხმეზურის საქმით დაინტერესდნენ. თევზაძის შესახებ საინფორმაციო არხებით სხვადასხვა სახის ინფორმაცია მოიპოვება, მისი განცხადებები, არჩევა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, დანიშვნა სააპელაციო სასამართლოში, ინფორმაცია ნათესაურ კავშირზე. ხელმისაწვდომია ცნობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.
- მედია სივრცეში გავრცელებული ინფორმაციები იხილეთ ზემოთ მითითებულ ბმულებზე.

**ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელებში აქტივობისა და საჯარო გამოსვლების შესახებ**

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაცია.
  - ✓ ფეისბუქი

**შეჯამება:**

- კანდიდატი სოციალური ქსელებით არ სარგებლობს.
- ლ. თევზაძეს როგორც საბჭოს წევრს გაუკეთებია არაერთი საჯარო განცხადება.

**ინფორმაცია ფინანსური ვალდებულებების თაობაზე**

- სსიპ [შემოსავლების სამსახური](#)
- [სს „კრედიტინფო საქართველო“](#)
- [ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია](#)
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
  - ✓ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრი
  - ✓ უძრავი ქონების რეესტრი

**შეჯამება:**

- ლევან თევზაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება.
- არ აქვს მიმდინარე სესხი.
- აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია.
- კანდიდატს საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება: საცხოვრებელი ბინა, ქ. თბილისში (81 კვ.მ. - 100%) და მიწის ნაკვეთი (725 კვ.მ. - 100%), სამტრედიისში;
- მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.
- უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შეუსაბამობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან: საცხოვრებელი სახლი (170.8 კვ.მ. -100%) სამტრედიისში აღარ ირიცხება მის სახელზე.

**ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე**

- [საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი](#)

**შეჯამება:**

2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით:

- ასკ მუხლი 125, ნაწ. 8 („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა“; ჯარიმა -10 ლარი; სამი შემთხვევა).

- ასკ მუხ. 125<sup>2</sup> ნაწ. 1( „დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა“ ჯარიმა 10 ლ; ოთხი შემთხვევა).
  - ასკ მუხ. 125<sup>2</sup> ნაწ. 6 ( „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი, სატრანსპორტო საშუალების პარკირების სხვა წესის დარღვევა ჯარიმა 10 ლ. - ერთი შემთხვევა).
- (აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად)

**ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების/ადმინისტრაციული სახდელის შესახებ**

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს [დამოუკიდებელი ინსპექტორის](#) სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო [ეთიკის დეპარტამენტის](#) ინფორმაცია

შეჯამება:  
 - ლ. თევზაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

**ინფორმაცია მხარედ მონაწილეობის შესახებ**

- [საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან](#)
- კანდიდატის მიერ განაცხადში ასახული ინფორმაცია (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)
- [საქართველოს გენერალური პროკურატურიდან შესაძლო დაზარალებულად ცნობის თაობაზე ინფორმაცია](#)

შეჯამება:  
 - კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

**ინფორმაცია პოლიტიკური აქტივობის შესახებ**

- კანდიდატის მიერ განაცხადში ასახული ინფორმაცია (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)
- პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი (შემომწირველთა ერთიანი სია)  
 ✓ [www.monitoring.sao.ge](http://www.monitoring.sao.ge)

შეჯამება:  
 - ლ თევზაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

**სამართლებრივი დოკუმენტი**

- კანდიდატმა წარმოადგინა:**
- [სასამართლო გადაწყვეტილება](#)
  - სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია  
 ✓ [პუბლიკაცია 1](#)  
 ✓ [პუბლიკაცია 2](#)  
 ✓ [პუბლიკაცია 3](#)

შეჯამება:  
სასამართლო გადაწყვეტილება:  
 - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის განაჩენი, საქმე N1/ზ-849-18, ( სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები (თაღლითობა).

სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები:

- ლ. თევზაძე - „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი“. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2018 წ. (გვ.7-20).
- ლ. თევზაძე - „თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“. საიუბილეო კრებული; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017წ. (გვ. 60-79).
- სახელმძღვანელო წინადადებები „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“ თანაავტორი.

**სამოსამართლო გამოცდილება:**

<b>სამოსამართლო უფლებამოსილება</b>
<ul style="list-style-type: none"><li>• <a href="#">მოსამართლის თანამდებობაზე განწესების/განთავისუფლების საფუძვლები</a></li></ul>
<p>შეჯამება:</p> <ul style="list-style-type: none"><li>- მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: 12 წელი და 6 თვე.</li><li>- 2008 წლის 29 აპრილს დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.</li><li>- 2008 წლის 11 აგვისტოდან - ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ.</li><li>- 2009 წლის 2 დეკემბრიდან დაინიშნა ქუთაისი საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ და ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ.</li><li>- 2013 წლის 18 მარტიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ.</li><li>- 2018 წლის 18 იანვრიდან განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ.</li><li>- 2018 წლის 27 თებერვლიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ 5 წლის ვადით.</li></ul>
<b>სტატისტიკური ინფორმაცია წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე</b>
<ul style="list-style-type: none"><li>• <a href="#">საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან ინფორმაცია</a></li></ul>
<p>შეჯამება:</p> <p><u>2017 წლის ნოემბერი - 2020 წლის ნოემბერი</u></p> <ul style="list-style-type: none"><li>- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.</li><li>- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.</li><li>- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 93.8%; შეცვლილი -6.2%.</li><li>- საანგარიშო პერიოდში (984 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 107 საქმე; განიხილა იმდენი საქმე, რამდენიც დაეწერა.</li></ul>

## დამატებითი ინფორმაცია

- [საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია](#)
- [მოსამართლეთა კონფერენციის დადგენილებები](#)
- [ცნობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან](#)
- კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)

### შეჯამება:

#### საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები

- ლ. თევზაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია) (15.09.2007წ.).

#### კონფერენციის დადგენილებები

- საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2013 წლის 16 ივნისის დადგენილებით ლევან თევზაძე არჩეულ იქნა მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად და ამავდროულად თავმჯდომარედ. 2018 წლის 5 მარტიდან შეუწყდა უფლებამოსილება.
- საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2015 წლის 11 ივლისის დადგენილებით ლევან თევზაძე არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.
- 2018 წლის 24 მარტიდან შეუწყდა უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე.

#### საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კონკურსი

- ლ. თევზაძე მონაწილეობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის მაისში გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურაში. მან იუსტიციის უმაღლესი საბჭოში გასაუბრების გავლის შემდეგ მოხსნა კანდიდატურა.
- ასევე მონაწილეობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ოქტომბერში გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურაში. მისი კანდიდატურა მეორე ეტაპზე წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად (20.07.2020წ.)

#### ნათესაური კავშირი

- დამატებით ცნობილია ლ. თევზაძის ნათესაური კავშირი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ ი. შენგელიასთან. (მიმდინარე კონკურსის ფარგლებში ი. შენგელიამ დააყენა თვითაცილების საკითხი)

#### კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია:

- კანდიდატმა მოგვმართა განცხადებით. მას შემდეგ რაც გამოაგზავნა განაცხადი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე, მისთვის დამატებით გახდა ცნობილი, რომ მისი მეუღლის მამა ასევე იყო შპს „ობჩა ვინერის“ დამფუძნებელი და დირექტორი.
- 2014 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი (შეჩერებული აქვს სტატუსი). თემა: „წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემები საქართველოს სამართლის პრაქტიკის მიხედვით“.

- ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

პერსონალური მონაცემები



ლევან თევზაძე



28.05.1979 - ქ.რუსთავი  
მამრობითი  
დაქორწინებული



kuprashvili\_e@yahoo.com

რეგისტრაციის მისამართი:



საცხოვრებელი მისამართი:

საიდენტიფიკაციო დოკუმენტები

პირადობის მოწმობა  
დოკუმენტის ნომერი: 111C21128  
მოქმედების ვადა: უვადო  
გაცემის თარიღი: 28.03.2012  
გამცემი ორგანო: იუსტიციის სახლი  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

გთხოვთ, განაცხადთან ერთად ატვირთოთ ავტობიოგრაფია, სამედიცინო დასკვნა, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, სამართლებრივი დოკუმენტები, სერტიფიკატები (არსებობის შემთხვევაში).

ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/წამსახურობის ნუსხა  
დოკუმენტის ტიპი: ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/წამსახურობის ნუსხა  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია  
დოკუმენტის ტიპი: სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია  
დოკუმენტის ტიპი: სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

სერტიფიკატი  
დოკუმენტის ტიპი: სერტიფიკატი  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

სასამართლო გადაწყვეტილება  
დოკუმენტის ტიპი: სასამართლო გადაწყვეტილება  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

ავტობიოგრაფია  
დოკუმენტის ტიპი: ავტობიოგრაფია  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია  
დოკუმენტის ტიპი: სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ  
დოკუმენტის ტიპი: სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

დიპლომის ასლი თანდართული ნიშნების ფურცლით  
დოკუმენტის ტიპი: დიპლომის ასლი თანდართული ნიშნების ფურცლით  
დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: ფაილის ნახვა

კვალიფიკაცია

საშუალო განათლება

რუსთავის 23-ე საშუალო სკოლა  
1986 სექტემბერი - 1996 ივლისი

უმაღლესი განათლება

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
1996 სექტემბერი - 2001 ივლისი  
იურიდიული  
მაგისტრი

დოკუმენტის სახე:  
 გაცემის თარიღი/ნომერი:  
 დოკუმენტის ასლი: ფაილის ნახვა

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 2014 სექტემბერი - 2016 აპრილი  
 იურიდიული  
 დოქტორი  
 წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემები საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით  
 დოკუმენტის სახე: შეჩერებული  
 გაცემის თარიღი/ნომერი: შეჩერებული  
 დოკუმენტის ასლი: ფაილის ნახვა

**დამატებითი განათლება და პროფესიული წვრთნა**

მიუთითეთ ინფორმაცია გავლილი სტაჟირებების, ტრენინგების, სემინარების, სასწავლო კურსების, საკვალიფიკაციო გამოცდების, საერთაშორისო კონფერენციების და ა.შ. შესახებ

„სამართლებრივი ენა სისხლის სამართლის მიმართულების თანამშრომლობაში“ - სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელი  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2019  
 ადგილი: ქ. ბუქარესტი (რუმინეთი).  
 დაფინანსების წყარო: სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელი

„მოსამართლის პროფესიული უნარები“ - ევროკავშირის „სასამართლო სწავლების ხელშეწყობა, ტვინინგის პროექტი“  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2019  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროკავშირი

„ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია“ - ევროკავშირის „სასამართლო სწავლების ხელშეწყობა, ტვინინგის პროექტი“  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2019  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროკავშირი

„დისტანციური სწავლების საშუალებების გამოყენება“ - ევროკავშირის „სასამართლო სწავლების ხელშეწყობა, ტვინინგის პროექტი“  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2019  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროკავშირი

„გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და ქალთა მიმართ ძალადობა“ - ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2018  
 ადგილი: ქ.ყვარელი  
 დაფინანსების წყარო: ევროკავშირი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა - აშშ იუსტიციის დეპარტამენტი  
 დამატებითი პროფ. განათლება: სასწავლო კურსი  
 თარიღი: 2017  
 ადგილი: ქ.ატლანტა (აშშ)  
 დაფინანსების წყარო: აშშ იუსტიციის დეპარტამენტი

„ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია“ - ევროსაბჭო  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2017  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროსაბჭო

ბრემენის უმაღლესი რეგიონალური სასამართლო - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი  
 დამატებითი პროფ. განათლება: სასწავლო კურსი  
 თარიღი: 2016  
 ადგილი: ქ. ბრემენი (გერმანია)  
 დაფინანსების წყარო: საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი

„ადამიანის წამების, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა“ - ევროსაბჭო  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2016  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროსაბჭო

„მტკიცებულებათა ცნება, შეფასება, დაშვება, გამოკვლევა, გამოქვეყნება და დემონსტრირება“ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა

დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2016  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: იუსტიციის უმაღლესი სკოლა

„სასამართლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება  
 დამატებითი პროფ. განათლება: სასწავლო კურსი  
 თარიღი: 2016  
 ადგილი: ქ. დორტმუნდი (გერმანია)  
 დაფინანსების წყარო: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება

„არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში სწორი შეფასების გაკეთება“ - ევროსაბჭო  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2015  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროსაბჭო

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ - UNICEF  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2015  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: UNICEF

„მიგრანტთა უკანონო გადაყვანა საზღვარზე“ - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია  
 დამატებითი პროფ. განათლება: სასწავლო კურსი  
 თარიღი: 2015  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

„მოწმის და დაზარალებულის უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები“ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2015  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: იუსტიციის უმაღლესი სკოლა

„ფსიქიატრიული ჯანდაცვა“. - იუსტიციის უმაღლესი სკოლა  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2019  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროკავშირი

„სასამართლო დარბაზში კომუნიკაცია და მიკერძოება“ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2019  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროკავშირი

„ციფრული ინსტრუმენტები გამოყენება“ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2019  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: ევროკავშირი

„განაჩენის დასაბუთება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ნასამართლეობის მოხსნა“ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2014  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: იუსტიციის უმაღლესი სკოლა

„სამოსამართლო ქცევა და ეთიკა“ - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2014  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს წინააღმდეგ“ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა  
 დამატებითი პროფ. განათლება: ტრენინგი  
 თარიღი: 2014  
 ადგილი: ქ.თბილისი  
 დაფინანსების წყარო: იუსტიციის უმაღლესი სკოლა

რუსული  
კითხვა:  
საუბარი:  
წერა:

ინგლისური  
კითხვა:  
საუბარი:  
წერა:

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

Word

Internet

e-mail

Excel

სამუშაო გამოცდილება

სამუშაო გამოცდილება

სტაჟიორ-გამომძიებელი - თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურა  
2001 ივლისი - 2002 აპრილი

სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება  
გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
უშუალო ხელმძღვანელი: გიგლა აგულაშვილი  
ტელეფონი: -  
ელექტრონული ფოსტა: -

სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
2002 აპრილი - 2002 ივლისი

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება  
გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
უშუალო ხელმძღვანელი: გაია ჩალათაშვილი  
ტელეფონი: -  
ელექტრონული ფოსტა: -

სააღსრულებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმომების სამმართველოს უფროსი - საქართველოს  
იუსტიციის სამინისტრო  
2002 ივლისი - 2004 იანვარი

საქმისწარმოებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების კონტროლი და ზედამხედველობა დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო  
ბიუროებში.  
გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადება  
უშუალო ხელმძღვანელი: [Redacted] ილი  
ტელეფონი: [Redacted]  
ელექტრონული ფოსტა: vroinishvili@yahoo.com

შშმ გენერალური ინსპექციის სისტემაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილე - საქართველოს  
შინაგან საქმეთა სამინისტრო  
2004 ივლისი - 2004 ნოემბერი

პოლიციის რიგებში ნარკოტიკული დანაშაულის პრევენცია, გამოვლენა და რეაგირების მოხდენა.  
გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
უშუალო ხელმძღვანელი: გიორგი ონიანი  
ტელეფონი: -  
ელექტრონული ფოსტა: -

გენერალური ინსპექციის საჩივარ-განცხადებებზე რეაგირების განყოფილების უფროსის მოადგილე - საქართველოს შინაგან  
საქმეთა სამინისტრო

2004 ნოემბერი - 2005 იანვარი  
პოლიციელთა მიმართ საჩივარ-განცხადებებზე რეაგირება და დისციპლინური წარმოება  
გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
უშუალო ხელმძღვანელი: ფრიდონ ჭურდულია  
ტელეფონი: -  
ელექტრონული ფოსტა: -

გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი - საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტრო  
2005 იანვარი - 2005 მაისი

პოლიციელთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომებზე რეაგირება  
 გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
 უშუალო ხელმძღვანელი: გიორგი მახარაძე  
 ტელეფონი: -  
 ელექტრონული ფოსტა: -

გენერალური ინსპექციის წინასწარი გამოძიებისა და დისციპლინური დევნის სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების განყოფილების უფროსი გამომძიებელი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო  
**2005 მაისი - 2008 იანვარი**  
 ფინანსურ საქმეებზე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება  
 გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
 უშუალო ხელმძღვანელი: აპოლონ გოლეთიანი  
 ტელეფონი: -  
 ელექტრონული ფოსტა: -

გენერალური ინსპექციის წინასწარი გამოძიებისა და დისციპლინური დევნის სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების განყოფილების უფროსი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო  
**2008 იანვარი - 2008 აპრილი**  
 სისტემაში ფინანსურ დარღვევებზე რეაგირება  
 გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
 უშუალო ხელმძღვანელი: გიორგი მახარაძე  
 ტელეფონი: -  
 ელექტრონული ფოსტა: -

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე - სასამართლო  
**2008 აპრილი - 2009 სექტემბერი**  
 სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა  
 გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
 უშუალო ხელმძღვანელი: -  
 ტელეფონი: -  
 ელექტრონული ფოსტა: -

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე - სასამართლო  
**2009 სექტემბერი - 2009 ნოემბერი**  
 სასამართლოს აპარატის გამართული მუშაობა და სს საქმეთა განხილვა  
 გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
 უშუალო ხელმძღვანელი: -  
 ტელეფონი: -  
 ელექტრონული ფოსტა: -

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - სასამართლო  
**2009 ნოემბერი - 2013 მარტი**  
 სასამართლოს აპარატის გამართული მუშაობა და სს საქმეთა განხილვა  
 გათავისუფლების საფუძველი: პირადი განცხადების საფუძველზე  
 უშუალო ხელმძღვანელი: -  
 ტელეფონი: -  
 ელექტრონული ფოსტა: -

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე - სასამართლო  
**2013 მარტი - დღემდე**  
 სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა  
 გათავისუფლების საფუძველი:  
 უშუალო ხელმძღვანელი: -  
 ტელეფონი: -  
 ელექტრონული ფოსტა: -

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე - სასამართლო  
**2018 თებერვალი - დღემდე**  
 სს საქმეთა განხილვა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა  
 გათავისუფლების საფუძველი:  
 უშუალო ხელმძღვანელი: -  
 ტელეფონი: -  
 ელექტრონული ფოსტა: -

**ინფორმაცია მიღწევების შესახებ**

ეწვიეთ თუ არა პედაგოგიურ საქმიანობას ან ხართ თუ არა რამე სამართლებრივი სალექციო კურსის ავტორი?

დიახ  
 თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის  
 სამართლის სკოლის მიწვეული ლექტორი  
 სამაგისტრო პროგრამაში, დისციპლინაში  
 „სამოსამართლეო სამართალი, (ერთი წელი)  
 იუსტიციის უმაღლესი სკოლის  
 მასწავლებელთა საბჭოს წევრი (ერთი წელი)

ხართ ან ყოფილხართ თუ არა სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი ან გაქვთ თუ არა გამოქვეყნებული სამართლებრივი სტატიები?

დიახ  
სტატია - ,,თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“, ,,მაია ივანიძე 50“, საიუმბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რედაქტორი: თამარ მახაროზიძე, თბილისი, 2016წ;  
სტატია - ,,დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი“, ჟ. ..მართლმსაჯულება და კანონი“, №4(60)2018, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, რედაქტორი: ნინო ძიმიტური, თბილისი, 2018წ.  
დისტანციური სწავლების კურსი - ევროპის საბჭოს ,,HELP“-ის ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე შექმნილი დისტანციური სწავლების კურსის ,,სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება“ თანაავტორი;

ხართ თუ არა სამართლებრივი მონოგრაფიის/წიგნის ავტორი ან თანაავტორი?

არა  
· სახელმძღვანელო - ,,სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“ - თანაავტორი, ქ.თბილისი, 2015 წელი;

ხართ თუ არა რაიმე სტიპენდიის, ჯილდოს ან საპატიო წოდების მფლობელი?

არა

**დამატებითი ინფორმაცია**

**ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ**

მიუთითეთ ინფორმაცია მშობლების, მეუღლის, შვილების, და-მმის, მეუღლის მშობლებისა და მეუღლის და-მმის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მიუთითეთ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პირები თქვენთან ერთად არ ცხოვრობენ. ასევე, მიუთითეთ ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც არ არის თქვენთან ნათესაურ კავშირში მაგრამ მუდმივად ცხოვრობენ თქვენთან ერთად.

მეუღლე - ელენე კუპრაშვილი

დაბადების თარიღი: 29.07.1989

დაბადების ადგილი: ქ. ქუთაისი

საცხოვრებელი მისამართი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სადაზღვევო კომპანია ,,არდი“, პროვადიდერებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მენეჯერი; კავკასიის უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი;

ტელეფონი:

ელ. ფოსტა: kuprashvili\_e@yahoo.com

შვილი - ანა-მარია თევზაძე

დაბადების თარიღი: 28.05.2011

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი

საცხოვრებელი მისამართი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ქ.თბილის 53-ე საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე

ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

შვილი - სესილი თევზაძე

დაბადების თარიღი: 23.06.2014

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი

საცხოვრებელი მისამართი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ქ.თბილისის 53-ე საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე

ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

დედა - მანანა ჩხიკვიშვილი

დაბადების თარიღი: 05.12.1955

დაბადების ადგილი: სამტრედიის მუნიციპალიტეტი

საცხოვრებელი მისამართი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დიასახლისი

ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

მამა - ავთანდილ თევზაძე

დაბადების თარიღი: 19.09.1955

დაბადების ადგილი: სამტრედიის მუნიციპალიტეტი  
 საცხოვრებელი მისამართი: [Redacted]  
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: შპს IMTC დამფუძნებელი, დირექტორი  
 ტელეფონი: [Redacted]  
 ელ. ფოსტა: [Redacted]

მეუღლის მმა - ლევან კუპრაშვილი  
 დაბადების თარიღი: 10.07.1993  
 დაბადების ადგილი: ქ. ქუთაისი  
 საცხოვრებელი მისამართი: [Redacted]  
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: „Qarvasla Services Limited,, 13 Karaiskaki str. 3032 Limassol - ფინანსური დირექტორი;  
 ტელეფონი: [Redacted]  
 ელ. ფოსტა: Lkuprashvili@axiosholding.com

მეუღლის მშობელი - გოჩა კუპრაშვილი  
 დაბადების თარიღი: 23.11.1963  
 დაბადების ადგილი: ქ. ქუთაისი  
 საცხოვრებელი მისამართი: [Redacted]  
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: შპს crp wood development და შპს მოზ პალასი; დამფუძნებელი, დირექტორი  
 ტელეფონი: [Redacted]  
 ელ. ფოსტა: gochacrp@gmail.com

მეუღლის მშობელი - მაია ახვლედიანი  
 დაბადების თარიღი: 30.08.1966  
 დაბადების ადგილი: ქ. ქუთაისი  
 საცხოვრებელი მისამართი: [Redacted]  
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ასოცირებული პროფესორი;  
 ტელეფონი: [Redacted]  
 ელ. ფოსტა: maia.akhvlediani@atsu.edu.ge

ინფორმაცია ოჯახის წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ

პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობა

იყავით ან ხომ არ ხართ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი: არა

ხომ არ ხართ რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი: არა

სამართალწარმოება თქვენს მიმართ

ხართ თუ არა ნასამართლევი?	არა
გაქვთ თუ არა ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი	არა
ყოფილხართ თუ არა მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი სასამართლო დავაში	არა
დაგკისრებიათ თუ არა საურავი სესხის გადაუხდელობის გამო	არა
გქონიათ თუ არა პრობლემები გადასახადის გადაუხდელობის, დაგვიანებით გადახდის ან წარმოქმნილი საურავის გამო	არა
ყოფილხართ თუ არა სახელდადებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის	დიახ 2016 წლის 06 ნოემბერს სითი პარკის მიერ, გზის სავალ ნაწილზე პარკირებისათვის - ,გაჩერება აკრძალულია, მოთხოვნის დაუცველობა -სასკ-ის 125-ე მუხლი, პუნქტი 8; ჯარიმა - 10 ლარი; 2017 წლის 28 ივლისს სითი პარკის მიერ, გზის სავალ ნაწილზე პარკირებისათვის - ,გაჩერება აკრძალულია, მოთხოვნის დაუცველობა -სასკ-ის 125-ე მუხლი, პუნქტი 8; ჯარიმა - 10 ლარი;
გქონიათ თუ არა დაკისრებული დისციპლინური სახდელი	არა
არის თუ არა დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული?	

რეკომენდატორები და თვითშეფასება

რეკომენდატორები

მიუთითეთ რეკომენდატორები (არანაკლებ 3) რომლებთანაც შეიძლება დაზუსტდეს თქვენი კვალიფიკაციისა და სხვა უნარების შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია. გთხოვთ, რეკომენდატორებად ნუ მიუთითებთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს

გერონტი კახეთელიძე  
 ტელეფონი: [REDACTED]  
 ელ. ფოსტა: g.kakhetlidze@court.ge  
 სამსახ. ან პირადი დამოკიდებულება: სამსახურებრივი

მალხაზ ოქროპირაშვილი  
 ტელეფონი: [REDACTED]  
 ელ. ფოსტა: m.okropirashvili@court.ge  
 სამსახ. ან პირადი დამოკიდებულება: სამსახურებრივი

გიორგი ქაშაკაშვილი  
 ტელეფონი: [REDACTED]  
 ელ. ფოსტა: gioqashakashvili@gmail.com  
 სამსახ. ან პირადი დამოკიდებულება: სამსახურებრივი

თვითშეფასება

ჩამოაყალიბეთ თქვენი ხედვა ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით

რას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად კარიერაში?

ყველაზე დიდ მიღწევად კარიერაში მივიჩნევ, რომ ვარ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, ამავე პალატის თავმჯდომარე და ვიყავი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

მოსამართლეობის კანდიდატა შესარჩევი კრიტერიუმებიდან მიუთითეთ სულ მცირე სამი კრიტერიუმი რომელშიც წარმატებულად გრძნობთ თავს.

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, პროფესიული თვისებები...

რატომ არის მოსამართლედ მუშაობა თქვენთვის მნიშვნელოვანი და რა წარმოდგენა გაქვთ ზოგადად მოსამართლის სტატუსზე.

მოსამართლეობა, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომელსაც თან უნდა სდევდეს კომპეტენცია და კეთილსინდისიერება. მოსამართლეობა დაახლოებით თერთმეტი წლის წინ გადავწყვიტე, რაც არ იყო შემთხვევითი. მას შემდეგ რაც, რამდენიმე სამინისტროსა და სახელმწიფოს სტრუქტურულ დანაყოფში მომიწია მუშაობა, მივხვდი, რომ დამიგროვდა საკმარისი უნარ-ჩვევები, რომ განმეხორციელებინა მოსამართლის უფლებამოსილება. რა თქმა უნდა, შემდგომი წლების განმავლობაში ჩემს მოღვაწეობას თან სდევდა როგორც პიროვნულ, ასევე პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა და ვფიქრობ, რომ დღეს კიდევ უფრო სრულყოფილად ვაცნობიერებ იმ მაღალ პასუხისმგებლობას, რაც აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესრულებისთვის. ვფიქრობ, სრულად ვაკმაყოფილებ კანონით დადგენილ ყველა კრიტერიუმს და მზად ვარ მოსამართლის უფლებამოსილება განვახორციელო საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

თქვენი დანიშვნის შემთხვევაში რა სარგებლობის მოტანა შეგიძლიათ სასამართლო სისტემისთვის და რატომ თვლით, რომ თქვენი კანდიდატურა შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს?

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივმა აღმშენებლობამ დღის წესრიგში დააყენა ახალი, თვისობრივად გარდაქმნილი სასამართლო ხელისუფლების არსებობის აუცილებლობა, როგორც მომავალი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა სასამართლო რეფორმის დაწყება საქართველოში, რომლის ერთ-ერთი მონაწილე გახლავართ მეც. ჩემმა სამოსამართლო გამოცდილებამ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობამ და სამეცნიერო საქმიანობამ აშკარად დამანახა, რომ ახორციელებდე მართლმსაჯულებას კეთილსინდისიერად და კომპეტენტურად, ნიშნავს იყო მლიერი მართლმსაჯულების ნაწილი. საქართველოს უზენაეს სასამართლოს წევრად ჩემი არჩევის შემთხვევაში შევძლებ გავუმკლავდე ყველა იმ გამოწვევას, რომელიც დგას ქართული სასამართლოს წინაშე. შევეცდები, რომ პიროვნული მახასიათებლებისა და გამოცდილების სინთეზით, მუდმივად დავაკმაყოფილო მოსამართლის მაღალზნეობრივი სტანდარტი, ვიყო სასამართლო რეფორმის აქტიური მონაწილე, მხარდამჭერი და ხელი შევეუწყო საქართველოში ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

არსებობს თუ არა პირად ცხოვრებასთან ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე სხვა გარემოება ან ინფორმაცია, რომელიც მიგაჩნიათ რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ? არა

---

## ლევან თევზაძე

დაბადების თარიღი: 28/05/1979

მისამართი: [REDACTED]

ტელ: [REDACTED]

ელ. ფოსტა: [court.tevzadze@gmail.com](mailto:court.tevzadze@gmail.com)

---



## ავტობიოგრაფია

### განათლება:

- **1996-2001წწ.** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი;
- **2014წ.** - დღემდე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, სადოქტორო პროგრამა.

### სამუშაო გამოცდილება:

- **2001-2002წწ.** - ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებელი;
- **2002წ.** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილე;
- **2002წ.** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სააღსრულებო წარმოების სამმართველოს დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა განყოფილების უფროსი;
- **2003-2004წწ.** - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოების სამმართველოს უფროსი;
- **2004წ.** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილე;

- **2004-2005წწ.** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საჩივარ-განცხადებებზე რეაგირების განყოფილების უფროსის მოადგილე;
- **2005წ.** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი;
- **2005-2007წწ.** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წინასწარი გამოძიებისა და დისციპლინური დევნის სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების განყოფილების უფროსი გამომძიებელი;
- **2008წ.** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციის წინასწარი გამოძიებისა და დისციპლინური დევნის სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების განყოფილების უფროსი;
- **2008-2009წწ.** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
- **2009წ.** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე;
- **2009-2012წწ.** - ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე;
- **2011-2012წწ.** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიწვეული ლექტორი;
- **2013-2018წწ.** - საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი და თავმჯდომარე;
- **2013წ.** - დღემდე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, (2018 წლიდან უვადოდ დანიშნული);
- **2014წ.** - დღემდე - სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრელი კომისიის წევრი;
- **2015-2018წწ.** - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
- **2016-2019წწ.** - საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრი;
- **2018წ.** - დღემდე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე;
- **2018წ.** - დღემდე - ევროპის საბჭოს ადგილობრივი ექსპერტი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებზე;
- **2018-2019წწ** - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მიწვეული ლექტორი;
- **2019წ.** - დღემდე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი.
- **2019წ.** - დღემდე - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმირების სამუშაო ჯგუფის წევრი.

### სამეცნიერო ნაშრომები:

- **სტატია** - „თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თავისებურებანი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“, „მაია ივანიძე 50“, საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რედაქტორი: თამარ მახარობლიძე, თბილისი, 2016წ;
- **სტატია** - „დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(60)2018, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, რედაქტორი: ნინო ძიძიგური, თბილისი, 2018წ;
- **წიგნი** - „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“ - თანაავტორი, თბილისი, 2015 წელი;
- **დისტანციური სწავლების კურსი** - ევროპის საბჭოს „HELP“-ის ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე შექმნილი დისტანციური სწავლების კურსის - „სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება“ - თანაავტორი, თბილისი, 2018წ.

### ტრენინგები/კურსები:

- **2009წ.** - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ტრენინგი - „სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის პროექტი“;
- **2010წ.** - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ტრენინგი - „კრედიტით უზრუნველყოფა“;
- **2010წ.** - აშშ კონგრესის ბიბლიოთეკა, სასწავლო კურსი - „პროფესიული გამოცდილების გაზიარება“, ქ. მერიველი (აშშ);
- **2010წ.** - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ტრენინგი - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები“;
- **2010წ.** - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ტრენინგი - „ზოგადი მენეჯმენტის შესავალი“;
- **2011წ.** - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ტრენინგი - „სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების გათვალისწინებით“;
- **2011წ.** - გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა“, ტრენინგი - „მედია და მართლმსაჯულება“;

